

ბენჯამინ ფრანკლინი
ჯონ ადამსი
თომას ჯეფერსონი
ჯეიმს უილსონი
ბენჯამინ რაში

პოლიტიკური ესეები



Funded through the Book Translation Program,
U.S. Embassy in Georgia

დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს
ნიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში

**POLITICAL ESSAYS OF
AMERICAN ENLIGHTENERS**

**Benjamin Franklin
John Adams
Thomas Jefferson
James Wilson
Benjamin Rush**

Translated by
Giorgi Khuroshvili

**Tbilisi
2013**

ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეები

ბენჯამინ ფრანკლინი
ჯონ ადამსი
თომას ჯეფერსონი
ჯეიმს უილსონი
ბენჯამინ რაში

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ხუროშვილმა

თბილისი
2013

**გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი**

**GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY
INSTITUTE OF PHILOSOPHY AND SOCIAL SCIENCES**

სამეცნიერო რედაქტორები: პროფ. **თენგიზ ირემაძე**
პროფ. **ლალი ზაქარაძე**
ასისტ. პროფ. **გიორგი თავაძე**

დაკაბადონება: **გიორგი ბაგრატიონი**

ყდის დიზაინი: **ნინო ხუროშვილი**

Scientific Editors: Prof. Dr. **Tengiz Iremadze**
Prof. Dr. **Lali Zakaradze**
Assistant Prof. **Giorgi Tavadze**

Layout: **Giorgi Bagrationi**

Cover design: **Nino Khuroshvili**

გარეკანზე გამოსახულია: ბენჯამინ ფრანკლინის, ჯონ ადამსის, თომას ჯეფერსონის, ჯეიმს უილსონის და ბენჯამინ რამის პორტრეტები.
(ავტორი: ოულ ერექსონი, 1876 წ. კონგრესის ბიბლიოთეკა)

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი, 2013

© Grigol Robakidze University
Institute of Philosophy and Social Sciences, 2013

Printed in Georgia
All Rights Reserved

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა
Grigol Robakidze University Press

ISBN 978-9941-9174-9-3

სარჩავი

თენგიზ ირემაძე

წინათქმა7

გიორგი ხუროშვილი

გონება და გამოცხადება ამერიკელ
განმანათლებელთა ნააზრევში9

ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეები

ბენჯამინ ფრანკლინი

კავშირის შესახებ ოლბენის გემის მიზეზები და მოტივები 19

ჯონ ადამსი

ნაშრომი საეკლესიო და ფეოდალური სამართლის შესახებ 49

თომას ჯეფერსონი

ბრიტანული ამერიკის უფლებათა შემაჯამებელი მიმოხილვა 77

ჯეიმს უილსონი

ინდივიდთა ბუნებითი უფლებების შესახებ 105

ბენჯამინ რაში

გამოკვლევა მკვლევლობის გამო სიკვდილით დასჯის
შესატყვისობის შესახებ გონებასა და გამოცხადებასთან 153

სახელთა საძიებელი 171

CONTENTS

Tengiz Iremadze	
Foreword	7
Giorgi Khuroshvili	
Reason and Revelation in the Thought of American Enlighteners	9
POLITICAL ESSAYS OF AMERICAN ENLIGHTENERS	
Benjamin Franklin	
Reasons and Motives for the Albany Plan of Union	19
John Adams	
A Dissertation on the Canon and Feudal Law	49
Thomas Jefferson	
A Summary View of the Rights of British America	77
James Wilson	
Of the Natural Rights of Individuals	105
Benjamin Rush	
An Enquiry into the Consistency of the Punishment of Murder by Death, with Reason and Revelation	153
Index	171

წინათქმა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი ამერიკული პოლიტიკური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლების, დიდი ამერიკელი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების, ბენჯამინ ფრანკლინის (1706-1790), ჯონ ადამსის (1735-1826), თომას ჯეფერსონის (1743-1826), ჯეიმს უილსონის (1742-1798) და ბენჯამინ რაშის (1746-1813) საყოველთაოდ განთქმული პოლიტიკური ესეების პირველ ქართულ თარგმანს სთავაზობს მკითხველს. წინამდებარე გამოცემაში თარგმნილი ტექსტები მათი შექმნის თარიღის მიხედვით არის წარმოდგენილი. ქართული თარგმანი შეასრულა ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა გიორგი ხუროშვილმა.

* * *

ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეების პირველი ქართული თარგმანის შესრულება შესაძლებელი გახდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წიგნების თარგმანის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით; წინამდებარე გამოცემას თან ახლავს მთარგმნელის საინტერესო სტატია ამერიკელ განმანათლებელთა ფილოსოფიური და პოლიტიკური მრწამსის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ თარგმნილ ზოგიერთ ესეის თან ახლავს თავად ავტორთა მცირეოდენი შენიშვნები, რომლებიც, ხშირად, კარგი გზამკვლევაა ამ თხზულებათა პრობლემატიკისა და წყაროების გასაგებად, მიზანშეწონილად მივიჩნით თითოეული თარგმნილი ესეისთვის დაგვერთო ვრცელი სარედაქციო შენიშვნები და კომენტარები იმ წყაროების, ისტორიული პირებისა თუ მოვლენების შესახებ, რომლებიც თვითონ ავტორთა მიერ არ არის სათანადოდ მითითებული და განმარტებული. ასისტენტ-პროფესორმა გიორგი თავაძემ ძალზე შრომატევადი სამუშაო შეასრულა საიმისოდ, რომ წარმოდგენილ ესეებში მითითებული შემოკლებებისა და ციტირებული ადგილების პირველადი წყაროები დაედგინა. ეს განსაკუთრებით ითქ-

მის ჯეიმს უილსონის ნაშრომში გამოყენებული წყაროებისა და საკანონმდებლო დოკუმენტების დადგენის შესახებ. საბოლოო ჯამში, ვფიქრობთ, რომ ეს სარედაქციო შენიშვნები და კომენტარები ქართველ მკითხველს ხელს შეუწყობს ამ მეტად საგულისხმო ესეების სრულყოფილად გასაგებად (ტექსტში ვარსკვლავითაა მონიშნული ის ადგილები, რომლებსაც სარედაქციო შენიშვნები ერთვის).

ცნობილია, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტში უკვე რამდენიმე წელია, რაც ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ამერიკული პოლიტიკური აზროვნების უმნიშვნელოვანესი ტექსტების შესწავლისა და ანალიზის კუთხით. უკვე გამოიცა კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ტექსტის მაღალკვალიფიციური ქართული თარგმანი სათანადო შენიშვნებისა და გამოკვლევების თანხლებით (ალექსანდრე ჰამილტონი, ჯეიმს მედისონი, ჯონ ჯეი, „ფედერალისტი. პოლიტიკური ესეები“, ალექსის დე ტოკვილი, „დემოკრატია ამერიკაში“, ლეო შტრაუსი, „რა არის პოლიტიკური ფილოსოფია?“, თომას პეინი, „სალი აზრი“ და სხვ.). წინამდებარე გამოცემას თან ახლავს ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სერიებისა და მათ ფარგლებში განხორციელებულ გამოცემათა სრული ნუსხა.

იმედი გვაქვს, რომ დიდი ამერიკელი განმანათლებლების პოლიტიკური ესეების წინამდებარე გამოცემა ისევე მიიპყრობს ქართველი მკითხველი საზოგადოების ყურადღებას, როგორც ჩვენი ინსტიტუტის მიერ წინა წლებში შესრულებული სხვა გამოცემები.

თენგიზ ირემაძე

*გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი
ინსტიტუტის დირექტორი*

ქ. თბილისი, 7 იანვარი, 2013 წელი

გონება და გამოცხადება ამერიკელ განმანათლებელთა ნააზრევში

*„ნუთუ შესაძლებელია, რომ თავისუფალი ხელისუფლება
ქრისტიანულ რელიგიასთან თანაარსებობდეს?“*

ჯონ ადამსი, წერილი თომას ჯეფერსონს.

19 მაისი, 1821 წ.

თანამედროვე აზროვნებაში მყარად ფესვგადგმულია მოსაზრება, რომ დასავლური კულტურა აზროვნების ორ უძველეს კონცეპტზე დგას. მათგან ერთი იერუსალიმი (ბიბლია და გამოცხადება), მეორე კი ათენი (ანტიკური ფილოსოფია და გონება). ევროპის მსგავსად, აზროვნების ამ ორმა წესმა, პურიტანელების მეშვეობით, „ახალ სამყაროშიც“¹ მოიკიდა ფეხი. ფილოსოფიის სიღრმისეული ცოდნა და ბიბლიური ღმერთისადმი თავმდაბლური რწმენა მათ სამოქალაქო ინსტიტუტებში ასახეს. ამგვარ ტრადიციებზე ამერიკელთა მრავალი თაობა აღიზარდა, მათ შორის, ისიც, რომელმაც ამერიკულ რევოლუციას დაუდო სათავე და ახალ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი. ამ მოკლე გამოკვლევის მიზანია, რომ ამ თაობის რჩეული წარმომადგენლების, ამერიკის რევოლუციის თვალსაჩინო მოღვაწეების ნააზრევში გონებისა და გამოცხადების ნაკვალევს მივყვეთ და ის ახალი სახელმწიფოს დაფუძნების შუქზე განვიხილოთ.

ამერიკის რევოლუციაში ქრისტიანული რელიგიის როლთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. შეხედულებათა ნაწილი იმ აზრისაკენ იხრება, რომ ამერიკული სახელმწიფოს დაბადება ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან სრულ ჰარმონია-

1 XV საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც ამერიკის კონტინენტი პირველად აღმოაჩინეს, ევროპაში, ხოლო შემდგომ კი დანარჩენ სამყაროშიც, მას სწორედ ამ სახელწოდებით მოიხსენიებდნენ.

სა და შესატყვისობაშია; ამასთან, თუკი იმასაც გავიხსენებთ, რომ მრავალი კონსერვატორი ქრისტიანი, მაგ., ჯონ ჯეი, პატრიკ ჰენრი, ალექსანდრე ჰამილტონი და სხვ., რევოლუციაში, ისევე, როგორც მის შემდგომ პროცესებში აქტიურად მონაწილეობდა, მაშინ, შესაძლოა, ვიფიქროთ კიდევ, რომ ამერიკული რევოლუცია ქრისტიანული მოძღვრების სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. თუმცა სრულყოფილი სურათის მისაღებად უპრიანი იქნება ის დამფუძნებლებიც გავიხსენოთ, რომელთა სახელთანაც ახალი სახელმწიფოს შექმნა პირდაპირ არის დაკავშირებული. ეს ხალხი „რელიგიური ლიბერალიზმით“ გამოირჩეოდა და ყოველგვარ რელიგიურ რწმენაზე მალლა გონების ძალას აყენებდა; აი, ისინიც: ჯორჯ ვაშინგტონი, ჯონ ადამსი, თომას ჯეფერსონი, ბენჯამინ ფრანკლინი, თომას პეინი და სხვ. ეს უკანასკნელნი მეტწილად ევროპული განმანათლებლობის მიერ შემოთავაზებული „ახალი მეცნიერებებისა“ და „რაციონალური ფილოსოფიის“ იდეებით იყვნენ გამსჭვალულნი. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველ მათგანს ღმერთის, როგორც ასეთის, სწამდა; ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ მათი რელიგიური მრწამსი სრულწინააღმდეგობაში იყო „დეიზმთან“, რომლის მიმდევრობასაც მათ ერთობ ხშირად მიაწერენ ხოლმე.

ჩვეულებსამებრ, „დეიზმის“ მიმდევრობა XVIII საუკუნის რელიგიურად ლიბერალ მოაზროვნეებს მიეწერება. თუმცა ჩვენს მიერ დასახელებულ პირთაგან, პეინის გარდა, თავს „დეისტად“ არავინ აცხადებდა. თვით ჯეფერსონიც კი, რომლის ნაწერებში ამ „მნიშვნელობას“ ხშირად შევხვდებით, მას, სავარაუდოდ, თეიზმის ლათინურ შესატყვისად იყენებდა;² ასე მაგალითად, ბენჯამინ რაშისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში, იგი ამბობს, რომ „ებრაელთა სისტემას დეიზმი წარმოადგენდა, რაც მხოლოდ ერთი ღმერთის რწმენას გულისხმობდა“,³ ხოლო ჯონ ადამსთან თავის ცნობილ მიმოწერაში⁴ კი იგი ამბობს, რომ „დეიზმი ჩვენ

2 იხ. Gregg L. Frazer: *The Religious Beliefs of America's Founders: Reason, Revelation, Revolution*. University Press of Kansas, 2012, გვ. 153.
3 იხ. To Benjamin Rush, April 21, 1803. A. A. Lindscomb, ed., *The Writings of Thomas Jefferson*, 1903.
4 სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ჯონ ადამსს და თომას ჯეფერსონს აქტიური მიმოწერა ჰქონდათ. ამ მიმოწერისას ისინი მრავალ ურთიერთ-

ესო ნაზრევებმა გვასწავლაო.“⁵

ფრანკლინი კი თავის „ავტობიოგრაფიაში“⁶ წერდა, რომ, ადრეულ წლებში, მართლაც იყო დეიზმის მიმდევარი, თუმცა მოგვიანებით ამ საქმეს შეეშვა, რამდენადაც მის პირობებში მანკიერებისა და სიქველის გარჩევა შეუძლებელი იყო. ადრეული ხანის ამერიკელთა ნააზრევში ევროპული განმანათლებლობა, ერთი მხრივ, ლოკის ბუნებითი სამართლის მეშვეობით შევიდა, ხოლო, მეორე მხრივ კი, ნიუტონის მეცნიერებით. ორივე მათგანი რელიგიური ლიბერალიზმის პრინციპებთან ერთგვარ სინთეზში იყო. თუკი იმ დროის მოღვაწეებს ჩვენ „დეისტებს“ ვუნოდებთ, მაშინ ისინი უფრო „კონსტრუქციულ დეისტებად“ უნდა ჩავთვალოთ, ვიდრე „კრიტიკულ დეისტებად“.⁷ პირველში ღიად განცხადებული „ანტი-ქრისტიანობა“ იგულისხმება, მეორეში კი „ანტი-ბიბლიურობა“. დოგმატურ-რელიგიური წიაღსვლებისაგან განსხვავებით, ბიბლიური (ძველალთქმისეული) აღწერების განხილვას, დასახელებულ დამფუძნებელთა ნააზრევში ხშირად შევხვდებით.

ამერიკის დამფუძნებელ მამათა რელიგიური აზროვნების დასახასიათებლად „რელიგიური ლიბერალიზმი“ ყველაზე შესაფერი სახელწოდებაა. როგორც ცნობილია, ზოგადად, „კლასიკური ლიბერალიზმი“ XVIII საუკუნის ევროპაში გაბატონებულ ავტო-

თანმხვედრ პოზიციამდე მივიდნენ, განსაკუთრებით კი ეს რელიგიის საკითხებზე ითქმის. იხ. The Adams-Jefferson Letters: the Complete Correspondence between Thomas Jefferson and Abigail and John Adams, The University of North Carolina Press, 1988.

5 იხ. To John Adams, May 5, 1817.

6 1771 წლიდან ბენჯამინ ფრანკლინი აქტიურად მუშაობდა თავის ბიოგრაფიულ ჩანაწერებზე, მათში ფართოდ არის მიმოხილული მისი მოღვაწეობის პოლიტიკური ასპექტიც. მისი გარდაცვალების შემდგომ (1790 წ.) ეს ჩანაწერები გაერთიანებული სახით გამოიცა და სახელად ფრანკლინის „ავტობიოგრაფია“ ეწოდა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ფრანკლინს სურდა ეს წიგნი სხვაგვარად დაესათაურებინა, და მისთვის „მოგონებები“ დაერქმია. მიუხედავად ამისა, ფრანკლინის „ავტობიოგრაფია“ დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. უფრო მეტიც, მიიჩნევა, რომ ის ავტობიოგრაფიული ჟანრის თხზულებათა საუკეთესო ნიმუშია. იხ. Benjamin Franklin's Autobiography (Norton Critical Editions), W. W. Norton & Company: Annotated Edition, 1986.

7 იხ. Gregg L. Frazer, The Religious Beliefs of America's Founders: Reason, Revelation, Revolution, გვ. 178.

რიტარულ ხელისუფლებებს უპირისპირდებოდა. ამერიკის, ის-
ევე, როგორც საფრანგეთის რევოლუციის ლიდერები ამგვარი
ლიბერალიზმის სრულფასოვან განსახიერებას წარმოადგენდნენ.
რელიგიაში ლიბერალიზმი ღმერთის შესახებ თავისუფალ ფიქრს
გულისხმობს; ამდენად, ის ქრისტიანული დოქტრინის დოგმატურ
ნაწილებს სრულად უარყოფს. ამერიკელი განმანათლებლები
პოლიტიკური და თვით რელიგიური საკითხების გადანყვეტისას
„გონებას“ უფრო ეყრდნობოდნენ, ვიდრე „გამოცხადებას“.

დამფუძნებელ მამათა „რელიგიური ლიბერალიზმი“ ერთი თა-
ვისებურებით გამოირჩეოდა: მათ სწამდათ ღმერთი, თუმცა ეს
ღმერთი უცილობლად ქრისტიანული რელიგიის ღმერთი არ იყო.
ისინი სახელმწიფო და რელიგიური საკითხების ერთმანეთისაგან
სრული გამიჯვნის მომხრენი იყვნენ და იმ გამოცდილებასაც ით-
ვალისწინებდნენ, რომელმაც ევროპას მრავალი უბედურება დაატეხა
თავს, როდესაც რელიგიური და სახელმწიფოებრივი საკითხების
ერთმანეთში აღრევა მოხდა. შესაძლოა სწორედ ამ მიზეზითაც არის
გამონვეული ის, რომ სიტყვები „ღმერთი“ ან „ქრისტიანობა“ კონ-
სტიტუციის არც ერთ ნაწილში არ გვხვდება. ეს კი იმიტომ, რომ
1787 წლის კონსტიტუციურ კონვენტზე ჩვენ მიერ ხსენებული რე-
ლიგიური ლიბერალები კონსერვატორ ქრისტიანებს რიცხობრივად
სჭარბობდნენ. მეტიც, კონსტიტუციის პირველივე შესწორებამ ეს
საკითხი კიდევ უფრო დააზუსტა და მას შემდეგნაირი ფორმული-
რება მისცა: „კონგრესის მიერ არ უნდა იქნეს მიღებული არც ერთი
კანონი, რომელიც ოფიციალურად შემოიღებს რომელიმე რელიგიას,
ან ხელს შეუშლის მის თავისუფალ აღმსარებლობას.“⁸

დამფუძნებელ მამებს ერთობ ღრმად სწამდათ რელიგიური
თავისუფლების და შემწყნარებლობის პრინციპებისა. ეს განსა-
კუთრებით ფრანკლინზე, ჯეფერსონსა და ადამსზე ითქმის. მათ
ათეისტებისა და არაქრისტიანი მორწმუნეებისათვის სრული რე-

8 იხ. The Constitution of the United States of America: Amendment 1 – Freedom of Religion, Press, Expression. CreateSpace Independent Publishing Platform, 2010.

ლიგიური თავისუფლება ბრძოლით მოიპოვეს. მათი ჩანაფიქრით ამერიკა იმგვარი ქვეყანა უნდა ყოფილიყო, სადაც ყოველი აღმსარებლობის ადამიანი, მათ შორის ისიც, ვინც არც ერთ აღმსარებლობას არ მიეკუთვნებოდა, ჰარმონიულ თანაარსებობას შეძლებდა. ფრანკლინი აღნიშნავდა კიდევ, რომ „სრული რელიგიური თავისუფლება არა მხოლოდ რელიგიურ თავისუფლებას, არამედ რელიგიისაგან თავისუფლებასაც გულისხმობს“;⁹ როგორც ცნობილია ფრანკლინი ერთობ ეჭვით ეკიდებოდა ამერიკაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას; თავის „ავტობიოგრაფიაში“ ის შენიშნავს კიდევ, რომ „მქადაგებლები ხალხის კარგ კალვინისტებად გამოწოდებაზე უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე მათ კარგ მოქალაქეებად გამოწოდებაზე.“¹⁰ იგი არასდროს ეთანხმებოდა ჯონათან ედვარდსს, რომელიც იმ დროს აქტიურად იღვწოდა კალვინიზმის იდეების გასავრცელებლად. ფრანკლინი ფიქრობდა, რომ ადამიანი ბუნებით კეთილია, მას კეთილადვე შეუძლია საკუთარი ცხოვრების წარმართვა, მორალური და ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობა; ყოველივე ეს კი მას საკუთარ გონებაზე დაყრდნობით შეუძლია განახორციელოს და ღვთაებრივი ჩარევა აქ საჭირო სულაც არ არის.¹¹ ამერიკული რევოლუციის ცენტრალური თემა სწორედ ადამიანის თავისუფლება იყო; ფრანკლინი მიიჩნევდა, რომ კანონმორჩილება ამ თავისუფლების უზრუნველყოფის საუკეთესო საშუალებაა. იგი თვლიდა, რომ ღმერთმა ადამიანი თავისუფალი და გონიერი შექმნა. ამდენად, ყველა ღვთაებრივი კანონი ადამიანის გონებისათვის წვდომადია. იგი მოუწოდებდა ამერიკელებს ისევე დამორჩილებოდნენ ღმერთის მიერ შექმნილ გონიერ კანონებს, როგორც კონგრესის მიერ მიღებულ კანონებს ემორჩილებიან.¹² ამ მხრივ, ფრანკლინი ჯონ ლოკის ერთობ დიდ გავლენას განიცდიდა, რომელიც, თავის მხრივ, ამბობდა, რომ ღმერთის ბუნებითმა კანონებმა სახელმწიფო კანონებში უნდა ჰპოვონ ასახვა.¹³

9 იხ. Benjamin Franklin's Autobiography, გვ. 111.

10 იხ. იქვე.

11 იხ. იქვე, გვ. 118.

12 იხ. იქვე, გვ. 109.

13 იხ. John Locke, A Letter Concerning Toleration. Merchant Books, 2011.

* * *

ფრანკლინის რელიგიურ ლიბერალიზმს იზიარებდა თომას ჯეფერსონიც. მართალია, იგი ეკლესიის ერთგული წევრი არასდროს ყოფილა, მაგრამ რელიგიური საკითხების მიმართ ხშირად სასულიერო პირებზე მეტ ინტერესს ამჟღავნებდა. ამ მხრივ საინტერესოა ჯეფერსონის წერილი მისი დისწულის, პიტერ ქარისადმი, რომელიც მან 1787 წელს დაწერა.¹⁴ ეს წერილი გონებასა და გამოცხადებასთან მიმართებაში ჯეფერსონის მიდგომების შესახებ საინტერესო ცნობებს გვანდის. თავის დისწულს იგი ურჩევს, გონება მუდამ მშვიდი ჰქონდეს და ყოველი მოვლენა, მათ შორის, ღმერთის არსებობის შესახებ საკითხიც კი, მის სამსჯავროზე გაიტანოს. იგი ამბობს, რომ გონების ძალით ბიბლიის კრიტიკული გადახედვა უნდა მოხდეს. რამდენადაც თუკი ჩვენ ბიბლიას ადამიანის შემოქმედებად ჩავთვლით, მაშინ მასში სინამდვილე და ცდომილება ერთნაირად იქნება წარმოდგენილი. ამგვარ შემთხვევაში კრიტიკული თვალი, ერთი მხრივ, ეჭვით შეხედავს იმგვარ აღწერებს, რომლებიც ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება, ხოლო გონება კი უარყოფს მათ, რამდენადაც მითოსად ჩათვლის.¹⁵ მიუხედავად ამგვარი შეხედულებებისა, ჯეფერსონი მაინც ფიქრობდა, რომ ქრისტიანობა სხვა შესაძლო რელიგიებს შორის საუკეთესო იყო, ვინაიდან ის თავისი არსით ერთობ ეთიკურია და ადამიანის გონებასაც აფასებს. აღსანიშნავია, რომ იგი შეეცადა ქრისტეს მოძღვრებიდან თავდაპირველი სინმინდე და უბრალოება გამოეტანა, ყოველივე დანარჩენი კი უკუეგდო. ამისათვის ჯეფერსონმა ერთობ ორიგინალურ გზას მიმართა და ბიბლიის (ახალი აღთქმის) ტექსტიდან ის პასაჟები გამოარჩია, რომელიც ქრისტეს უბრალო ადამიანად, იმავდროულად კი დიად ზნეობრივ მოძღვრად წარმოგვიჩენს. ამონარიდების ეს კრებული „ჯეფერსონის ბიბლიის“ სახელით არის ცნობილი. მასში დიდი ყურადღებით არის გამოხშირული ის ნაწილები, რომლებიც ტრადიციულ მოძღვრებას ამყარებდა, მაგ., ქრისტეს ღვთაებრიობის, მისი ქალწულისაგან შობის, სამების და ჯოჯოხეთის შესახებ აღწერები. მისი აზრით, ეს ის ნაწილებია, რომლებიც სასულიერო პირებმა თვითნებურად დაა-

14 იხ. A. A. Limpscomb, ed., The Writings of Thomas Jefferson, Washington, 1903.

15 იხ. იქვე, გვ. 258.

მატეს საკუთარი და ეკლესიის ძალაუფლების გასაძლიერებლად და გასავრცელებლად. „ქრისტეს მოძღვრებათა ყველაზე დიდი მტრები“, – სწერდა იგი ჯონ ადამსს, – „ისინი არიან, ვისაც მის განმმარტებლად მიაჩნია საკუთარი თავი“.¹⁶ მისი აზრით, მოყვასის სიყვარულისათვის ქრისტეს ღვთაებრიობის რწმენა საჭირო სულაც არ არის. აღსანიშნავია, რომ 1800 წლის არჩევნებზე ჯეფერსონის რელიგიური შეხედულებები ოპონენტთა საარჩევნო კამპანიის მთავარი ნაწილი იყო. მისი პოლიტიკური ოპონენტები, მისთვის სახელის გატეხვას სწორედ რელიგიურ ლიბერალიზმზე აპელირებით ცდილობდნენ. მეტიც, მათ ხმებიც კი გაავრცელეს, რომ გამარჯვების შემთხვევაში ჯეფერსონი ბიბლიის ყველა ეგზემპლარს გაანადგურებდა და მხოლოდ საკუთარ ვერსიას გაავრცელებდა. ამ მხრივ ყველაზე მეტს ალექსანდრე ჰამილტონი აქტიურობდა და მიიჩნევდა, რომ ყველა პოლიტიკური საშუალება უნდა ყოფილიყო ნაცადი, რათა ჯეფერსონი არჩევნებში მონაწილეობისაგან დაებლოკათ. თუმცა ნიუ-იორკის მაშინდელმა გუბერნატორმა ჯონ ჯეიმ ამ მოსაზრებას მხარი არ დაუჭირა. ჯეფერსონის რელიგიური შემწყნარებლობა, ერთი მხრივ, მისივე რელიგიური ლიბერალიზმით იყო განპირობებული, მეორე მხრივ კი, იგი მკაცრად მიჯნავდა ეთიკასა და რელიგიურობას და თვლიდა, რომ ათეისტები ისეთივე ზნეობრივები არიან, როგორც მორწმუნეები.

* * *

ფრანკლინის და ჯეფერსონის მსგავსი რელიგიური ლიბერალიზმისაგან შორს იჭერდა თავს ჯონ ადამსი. იგი და მისი ოჯახი კალვინიზმის ერთგული მიმდევრები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ მისი რჩეული წიგნები ბიბლია და ციციერონის თხზულებები იყო. როგორც ცნობილია, კვირაში ორ დღეს ადამსი ბიბლიის შესწავლას უთმობდა. მას მტკიცედ სწამდა ბიბლიური ღმერთი და თვლიდა, რომ ამგვარი რწმენა მორალურობისათვის ერთობ აუცილებელია. იმავდროულად იგი მორალურობის მისაღწევად გონების მნიშვნელობასაც აღიარებდა, მაგრამ, ფრანკლინისა და ჯეფერსონის საპირისპიროდ, იგი ადამიანს მხოლოდ გონების ქრილში არ

16 იხ. იქვე, გვ. 430.

განიხილავდა. ამასთან ადამსი ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებდა, რომ ამერიკული რევოლუციის პრინციპები ქრისტიანობის პრინციპებთან იყო თანმხვედრი. რელიგიური ლიბერალიზმის პრინციპებიდან კი იგი იმ პრინციპს გამოარჩევდა, რომლის თანახმადაც, ქრისტიანული მორალი ქრისტიანული მოძღვრებისაგან განსხვავდება. იგი ფიქრობდა, რომ ყველა ვინც ქრისტიანულ მორალს ესწრაფვოდა, მიუხედავად იმისა, სწამდა თუ არა ქრისტეს ღვთაებრიობის ან სამებისა, ქრისტიანად უნდა ჩათვლილიყო. 1813 წელს ჯეფერსონისადმი მიწერილ წერილში იგი აღნიშნავდა: „მჯერა, თქვენს შორის ყველა პატიოსანი კაცი ქრისტიანია, ამ სიტყვის ჩემიული გაგებით.“¹⁷ მორალურობას იგი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ ხელისუფლების პირველ პრინციპად სიქველეს მიიჩნევდა და არა თავისუფლებას. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ადამსი კალვინიზმის იდეებს სრულად ჩამოცილდა და მიიჩნევდა, რომ სამების ან ქრისტეს ღვთაებრიობის გაგება გონების პრინციპებზე დაყრდნობით უმართებულოა.

ამერიკის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა შორის გამორჩეულია ბენჯამინ რაშიც. მისმა რელიგიურმა შეხედულებებმა იმ დროის მრავალ ამერიკელზე მოახდინა ზეგავლენა. რაში ერთ-ერთი პირველი გამოდიოდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ სიკვდილის დასჯის საწინააღმდეგოდ მას არგუმენტად ის მოჰყავდა, რომ ეს უკანასკნელი გამოცხადებისასთან, ისევე, როგორც გონებასთან, შეუთავსებელი იყო.¹⁸ იგი მიიჩნევდა, რომ ზებუნებრივი გამოცხადების მეშვეობით ბიბლია ადამიანის ცხოვრების უკლებლივ ყველა ასპექტს მოიცავდა და ანესრიგებდა, მეტიც, იგი თვლიდა, რომ ბიბლია ქვეყნარტების საბოლოო წყარო იყო.¹⁹ როგორც ორთოდოქსი ქრისტიანი, იგი

17 იხ. To Thomas Jefferson, September 14, 1813. The Adams-Jefferson Letters: the Complete Correspondence between Thomas Jefferson and Abigail and John Adams, The University of North Carolina Press, 1988.

18 იხ. Benjamin Rush: Essays – Literary, Moral, Philosophical. Printed by Thomas & Samuel F. Bradford, 1798, გვ. 164.

19 იხ. იქვე, გვ. 156.

შემართებით იბრძოდა ქრისტიანული მოძღვრების მცნებებთან დაპირისპირებული პოზიტიური კანონების შესაცვლელად. მისმა ძალისხმევამ გარკვეული შედეგებიც კი გამოიღო: ზოგიერთ შტატში სიკვდილით დასჯა მრავალ დანაშაულზე გააუქმეს.

პოლიტიკაში თავისუფლება და სიქველე რაშისათვის ორი ერთმანეთისაგან სრულიად განუყოფელი ნაწილი იყო, სიქველის წყაროდ იგი ქრისტიანულ მორალს მიიჩნევდა. ალბათ, სწორედ ამითაც იყო განპირობებული ის შემფოთება, რომლითაც რაში ჯეფერსონს სწერდა: „თანამდებობის დატოვებისას ვაშინგტონი სასულიერო პირთა ჯგუფს შეხვდა და მათ ყველა კითხვას ერთობ ვრცლად უპასუხა, ერთადერთი კითხვა, რომელზე პასუხსაც ვაშინგტონმა ოსტატურად აარიდა თავი, მის რელიგიურ აღმსარებლობას ეხებოდა.“²⁰ აღსანიშნავია, რომ თავის მრავალრიცხოვან ესეებში რაში ხშირად აცტირებდა ახალი აღთქმის იმ პასაჟს, სადაც ქრისტე ამბობს: „ქე კაცისა ადამიანთა სულების წარსაწყმენდად კი არ მოვიდა, არამედ სახსნელად.“²¹

ამერიკის დამფუძნებელ მამებზე საუბრისას, უნდა გვახსოვდეს, რომ, მკაცრი გაგებით, ისინი ფილოსოფოსები არასდროს ყოფილან; ფილოსოფოსები ისინი უფრო ფართო გაგებით იყვნენ, რამდენადაც გონებისა და მეცნიერებისადმი განსაკუთრებული ლტოლვა ჰქონდათ. მათი უმეტესობა სისტემურად არც ერთ მეცნიერებაში არ ყოფილა განსწავლული, მაგრამ ისინი იმ მრავალმხრივი და ფართო ცოდნით გამოირჩეოდნენ, რომელიც ჭეშმარიტ სახელმწიფო მოღვაწეებს სჭირდებათ. მათ ცხოვრებასა და შემოქმედებაში ჩვენ რელიგიურ შემწყნარებლობას, პოლიტიკურ სიბრძნეს, ფილოსოფიის სიყვარულსა და პრინციპებისადმი ერთგულებას ვხედავთ. თავიანთი მცდელობებით მათ ახალ სახელმწიფოს ჩაუყარეს საფუძველი, მისი დაფუძნებისას კი კაცობრიობის მიერ მრავალი საუკუნის განმავლობაში დაგროვილი სიბრძნით და გამოცდილებით იხელმძღვანელეს.

20 Quoted, in: Paul F. Boller, Jr., *George Washington and Religion*. SMU Press; First Edition, 1963, გვ. 80-86.

21 იხ. ბიბლია, სახარება ლუკასი (9:56).

ბრიგოლ როპაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითი ინსტიტუტი
გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების წუსხა:

I. სამეცნიერო სერია
„ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია“:

- ტ. 1: **ნიცუე საქართველოში. ეძღვნება თამაზ ბუაჩიძის ნათელ ხსოვნას,** რედაქტორ-მემდგენი: თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 246 გვ.
- ტ. 2: **ფილოსოფია – დიალექტიკა – ლოგიკა. სავლე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული,** რედაქტორ-მემდგენელი: ლალი ზაქარაძე და თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2008, 200 გვ.
- ტ. 3: **სიცოცხლის ფილოსოფია. პრობლემები და პერსპექტივები,** რედაქტორ-მემდგენელი: ლალი ზაქარაძე და მიხეილ გოგატიშვილი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 88 გვ.
- ტ. 4: **ლალი ანთიძე: ნიკოლოზ ლოსკის ინტუიტივიზმი,** გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 244 გვ.
- ტ. 5: ***Philosophy in Global Change. Jubilee volume dedicated to the 65th anniversary of Burkhard Mojsisch.*** Edited by Tengiz Iremadze in collaboration with Helmut Schneider and Klaus J. Schmidt, Tbilisi 2011, 436 pp.
- ტ. 6: **აღმოსავლეთი და დასავლეთი. ინტერკულტურული და ინტერ-დისციპლინური კვლევები.** რედაქტორ-მემდგენლები: თენგიზ ირემაძე და გურამ თევზაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 226 გვ.
- ტ. 7: **ბერნჰარდ ვალდენფელსი: გზები ფენომენოლოგიისა, პასუხს რომ იძლევა, ფრანგულიდან ქართულად თარგმნა დოდო ლაბუჩიძემ,** გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 120 გვ.

II. სამეცნიერო სერია „ფილოსოფია და სოციალური მეცნიერებები დღეს“:

თენგიზ ირემაძე: ვალტერ ბენიამინი. ცხოვრება, მოღვაწეობა, აქტუალობა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2008, 108 გვ.

Tengiz Iremadze: Der Aletheiologische Realismus. Schalwa Nuzubidse und seine neuen Denkansätze, „Nekeri“, Tbilisi, 2008, 117 S.

ბურკჰარდ მოიზიში: ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, ინგლისურიდან ქართულად თარგმნა გიორგი ბარამიძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 90 გვ.

ჰელმუტ შნაიდერი: ფილოსოფიური გეოგრაფია, გერმანულიდან ქართულად თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 120 გვ.

უდო რაინჰოლდ იეკი: განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ, გერმანულ და ქართულ ენებზე, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 88 გვ.

ჰელმუტ შნაიდერი, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, დოდო ლაბუჩიძე, თენგიზ ირემაძე: რა არის თავისუფლება? დიდი მოაზროვნეები თავისუფლების არსის შესახებ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 144 გვ.

გრიგოლ რობაქიძე და თანამედროვე აზროვნება, რედაქტორ-შემდგენლები: მამუკა თავხელიძე, თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 144 გვ.

ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (14 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი), მთავარი რედაქტორი: თენგიზ ირემაძე, რედაქტორები: ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე, გიორგი ბარამიძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 224 გვ.

უდო რაინჰოლდ იეკი: განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ, გერმანულ და ქართულ ენებზე, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 92 გვ.

ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო

კონფერენციის მასალები (14 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი), მთავარი რედაქტორი: თენგიზ ირემაძე, რედაქტორები: ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე, გიორგი ბარამიძე, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 226 გვ.

III. სამეცნიერო-მთარგმნელობითი სერია „ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები. თარგმანები“:

- ტ. 1: **ნიკლას ლუმანი:** საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია, გერმანულიდან თარგმნა დევი ღუმბაძემ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 37 გვ.
- ტ. 2: **ანრი ბერგსონი:** ცნობიერება და სიცოცხლე, ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 44 გვ.
- ტ. 3: **კარლ შმიტი:** ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-ისტორიული განაზრება, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 180 გვ.

IV. სამეცნიერო სერია „აღმოსავლეთი და დასავლეთი – კულტურათა დიალოგი“:

- ტ. 1: **ჰელმუტ შნაიდერი:** ძენ-ბუდიზმის ესთეტიკა. ვაბი-საბი და მშვენიერების ევროპული იდეა, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 44 გვ.

V. ფრიდრიხ ნიცშეს რჩეული თხზულებები ქართულ ენაზე (აკადემიურ-კრიტიკული გამოცემა):

- ტ. 1: **ფრიდრიხ ნიცშე: *Ecce homo*.** როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის, გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და გამოკვლევა დაურთო გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 248 გვ.

გამოსაცემად მზადაა:

ტ. 2: **ფრიდრიხ ნიცშე:** კერპების მწუხრი, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე.

VI. ინსტიტუტის ცალკეული გამოცემები:

ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, რედაქტორ-შემდგენლები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი ბარამიძე, მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007, 80 გვ.

ქართული აზროვნება, განათლების პრობლემები, ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, რედაქტორ-შემდგენლები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი ბარამიძე, მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 76 გვ.

ალექსანდრე ჰამილტონი, ჯეიმს მედისონი, ჯონ ჯეი: ფედერალისტი. პოლიტიკური ესეები, ინგლისურიდან ქართულად თარგმნა გიორგი ბარამიძემ, სამეცნიერო რედაქტორი: მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 584 გვ.

საზოგადოება, ცოდნის ტრანსფორმაცია, ფილოსოფია, რედაქტორ-შემდგენლები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი ბარამიძე, მიხეილ გოგატიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 96 გვ.

G. Baramidze, M. Gogatishvili, L. Zakaradze, U. R. Jeck, D. J. Lacey (eds), (Neo)Platonism and Modernity. Materials of the International Conference dedicated to Tengiz Iremadze's book „Konzeptionen des Denkens im Neuplatonismus“, June 30, 2008, Grigol Robakidze University, Publishing House “Nekeri”, Tbilisi 2009, 136 pp.

ახალი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები ფილოსოფიაში, რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, მიხეილ გოგატიშვილი, დოდო ლაბუჩიძე, გიორგი თავაძე, თბილისი, 2010, 50 გვ.

ალექსის დე ტოკვილი: დემოკრატია ამერიკაში, ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, წინათქმა დაურთო თენგიზ ირემაძემ, სამეცნიერო რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, 592 გვ.

ლეო შტრაუსი: რა არის პოლიტიკური ფილოსოფია? ინგლისურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გიორგი ხუროშვილმა, რედაქტორები: მიხეილ გოგატიშვილი, გიორგი ბარამიძე, თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „საუნჯე“, თბილისი, 2011, 130 გვ.

თომას პეინი: საღი აზრი, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, წინათქმა დაურთო თენგიზ ირემაძემ, სამეცნიერო რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 146 გვ.

თენგიზ ირემაძე: ფილოსოფია ეპოქათა და კულტურათა გზა-გასაყარზე. ინტერკულტურული და ინტერდისციპლინური კვლევები, სამეცნიერო რედაქტორები: გიორგი ბარამიძე, ლალი ზაქარაძე, უდო რაინჰოლდ იეკი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2013, 170 გვ.

ბენჯამინ ფრანკლინი, ჯონ ადამსი, თომას ჯეფერსონი, ბენჯამინ რაში, ჯეიმს უილსონი: პოლიტიკური ესეები, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ხუროშვილმა, წინათქმა დაურთო თენგიზ ირემაძემ, სამეცნიერო რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013, 180 გვ.

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობისა და გამოცემების შესახებ სრული ინფორმაცია იხილეთ ინსტიტუტის ვებგვერდზე: http://www.gruni.edu.ge/menu_id/808